«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს 12 აპრილს

გამოვიდა მარტის წიგნი
ჟურნალის „ივერიისა“
და დაურიგდა ხელის-მომწერლებს

ოთხშაბათს, 11 აპრილს,
«ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობისაგან იქნება გამართული თბილისის «კრუჟოკის» დარბაზში
ბალი
ამ საზოგადოების სასარგებლოდ.
ქალებს შეუძლიანთ დაესწრონ გულ-შეკრული კაბებითაც.
ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.
ფასი ბილეთებისა 2 მან. ბილეთების ყიდვა შავერდოვის სააგენტოში და თვით «კრუჟოკში». (4—4)

არწრუნის თეატრი
ხუთშაბათს, აპრილის 12-ს, ქართული დრამატიული დასის არტისტის მოხევისაგან, იქნება გამართული
I
კონცერტი
მონაწილეობას მიიღებენ ქალბ. კნ. ავალოვისა, გაბუნია, საფაროვისა, მელიქოვისა და სხვ. თავ. აკაკი წერეთელი, თ. ვ. თ., ბ. ვ. აბაშიძე, მოხევე და სხვანი.
სხვათა შორის თავ. აკაკი წაიკითხავს «თორნიკე ერისთავს».
II
„ცხოველი სურათები“
ჩვენის ისტორიულის ცხოვრებიდგან.
საღამო დაბოლოვდება
ლეკურით.
დასაწყისი 8 საათზედ.

## გუთნები და ჩვენი გლეხ-კაცობა

თბილისი, 8 აპრილს.

განათლება, ანუ ცივილიზაცია, როგორც მოგეხსენებათ ორ-პირი იარაღია. საერთო სიმდიდრეს კაცობრიობისას თუმცა ჰმატებს იგი, თუმცა ყოველგვარი საშუალება მისვლა-მოსვლისა, მიწერ-მოწერისა, წარმოებისა ეხლა ათასჯერ და ათიათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე უწინ კაცობრიობის პირველ ასაკობის დროს იყო, მაგრამ ესეც ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ განათლებამ იმდენი ნაყოფი ვერ მოუტანა მთელს კაცობრიობას საერთოდ, რამდენის მოტანაც შეეძლო, რომ სიმდიდრე და სიუხვე ბუნებისა და ადამიანის ხელოვნებისა თანაბარის სიმართლით არ არის განაწილებული. ამ გვარმა მოვლენამ ჩააფიქრა ზოგიერთნი ევროპიის აზროვნობის წინამძღოლნი და იქამდის მიიყვანა, რომ თითქმის უარ-ჰყვეს ცივილიზაციისაგან მოტანილი რაიმე სარგებლობაც კი. უარ-ყოფას თავი უნდა დავანებოთ და ეს კი თამამად უნდა ვთქვათ, რომ არ აწყენდა ახალს ცივილიზაციას ზოგიერთა ძველებური წესები ხელუხლებლად დაეტოვებინა და მხოლოდ ახალის ცვლილებისათვის შეეფერებინა.

მაგალითისათვის შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდა ჩვენებური გუთნის წესები, რომლებზედაც ჩვენის გაზეთის წარსულს კვირის ნომერში იყო ლაპარაკი. უეჭველია, რომ ეს წესები ნაყოფია იმ დროისა, როდესაც ერთად მუშაობა, ერთმანეთის მხარში ამოდგომა და ერთად შრომის ჭაპანის წევა მიაჩნდათ საუკეთესო საშუალებად წარმატებისა. ხალხის გენიამ შეჰკრიფა ერთად იმისთანა განსხვავებული საგნები, როგორიც არის მუშა-ხარი, სახნის-საკვეთი, ლვედი, ჯამბარა, ადამიანის შრომა და ყველას მიუწყო ღირსებისა და შეძლებისამებრ. ამავე გენიამ თუმცა გუთნის-დედას—ამ საქმის გამგეს და მიმართულების მიმცემს-ჩააბარა უფლება ყოველგვარი განკარგულებისა, მაგრამ არ დაუმონავა კი სხვები, რომელთაც თუმცა მასზედ ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ შრომას იმაზედ მეტს თუ არა, ნაკლებს არაფრა სწევენ. კანცელიარებში ჩვეულებრივ მეტი ჯაფა ადგებათ უბრალო მწერლებს, რომელთაც ჯამაგირი იმის მეათედი და მეთხუთმეტედიც არ ეძლევათ, რაც ეძლევა კანცელიარიის უფროსს, მაგრამ აბა ახლა შეჰხედეთ, როგორ არის განაწილებული ალოები გუთნის-დედისა და თუნდა ლამის მეხრეს შორის. გუთნის-დედასა აქვს ორი ალო და თითო ლამის მეხრეს კი სამ-სამი. თუმცა ლამის მეხრე ხშირად გუთნის-დედას თავს ადგას და ხელს აბანინებს, მაგრამ ხალხის აზრით, ლამის-მეხრეს მაინც მეტი უნდა ერგოს, რადგან იმას «მეტი წვალება და ძალლ-უმადურობა აქვს.»

შესანიშნავია აგრეთვე, რომ ყოველს ამხანაგობას გლეხ-კაცობისას, რომელიც კი ძველ წესზედ არის აგებული რალაც მადლი ატყვია, რომელიც მარტო პარაკლისის გადახდით არ გამოიხატება. ყოველმა გუთანმა უნდა ერთი დღე უხნას ქვრივს, ობოლს არრის მქონეს და უხნას ერთი მანეთით ნაკლებ ჩვეულებრივს ფასზედ. მერე ამ აღებულს ფულს რომელიმე კერძო პირი კი არ იდებს ჯიბეში, არა, ამ ფულით უნდა სადილი გამართონ და მთელი სოფელი დაჰპატიჟონ. ამ ჩინებულ ჩვეულებას, რომელიც აშკარად გვაჩვენებს გლეხ-კაცობის ქველ-მოქმედების გრძნობას და ამას გარდა ერთად თავს უყრის მათ სადმე «კაკალ-ქვეშ» საერთო ჭირისა და ლხინის გასაზიარებლად,—ამ ჩვეულებას თუმცა ეკარგება თავისი ხასიათი, მაგრამ მისი წყარო ანკარაა, როგორც მთის ნაკადული, წმიდაა, როგორც მთელის ხალხის სინიდისი.

ყოველი შეგნებული და პატიოსანის კაცის ვალია, რომელსაც კი ხალხთან შეხვედება შრომა და მოქმედება, აუხსნას მას ამ ძველი წესების ფრიადი მნიშვნელობა, ჩააგონოს, რომ ხშირად ახალი ღვინო ძველს ქურჭელში ჩასხმული უფრო გაკეთდება, დატკბება, დაღვინოვდება, ერთის სიტყვით მოუყაროს იმ გრძნობას ხალხისას, რომელსაც სიმართლისადმი სიყვარული ჰქვიან.

ჩვენდა სასიამოვნოდ იერის-ხეველებს, როგორც ზემოხსენებული წერილი ამბობდა, ცოტათი მაინც შეუგნიათ ესა და ძველი წესები ახა-

---

«დროების» ფელეტონი, 8 აპრილი.

## კვირის საუბარი.

მაცხოვრის მოგონება.—წითელი კვერცხები.—აღდგომა სიხარულისა.—შავი ლაქა თეთრს მინდორზე.—გორული ზღაპარი.—ნასწავლი ექიმები.

სამართალს, ჭეშმარიტებასა და კაცთ-მოყვარეობას ღრმა საძირკველი აქვთ ჩაგდებული კაცობრიობის მეხსიერებაში. უკეთესი ნაწილი კაცთა-ნათესაობისა ილვწოდა მათი საბძანებლის მიჯნების გასაფართოვებლად, გასადიდებლად. რაც გინდ წამხდარი იყოს ადამიანის ბუნება, იმას მაინც მოეპოვება შორს, შორს, დაფარულს ადგილში ისეთი კუნჭული თვისი არსებისა, საიდამაც გამოსჩქეფს ნაკადული ჭეშმარიტებისა და სადაც ანთია ლამპარი კაცთ-მოყვარეობისა, სამართლიანობისა. გადაფხიკე ის შლამი, რომელიც გარს შემოჰხვევია ამ კუნჭულს, გააპე ქერქი ბოროტებისა, რომელსაც მოუცვავს კაცის ბუნება, და დასტკბი სიამით, რომ ჯერ ყოველივე არ არის დაკარგული იმ წმინდა ანდერძიდამ, რომელიც დაუტოვეს ქვეყნიერობას უკეთესმა ჩვენმა წარმომადგენლებმა...

ეს ქადაგებითი სიტყვები მოგვაგონა ჩვენ მაცხოვრის აღდგომამ. რაც გინდ წაბილწული ჰქონდეს კაცს თვისი ზნეობითი არსება, ის მაინც ვერ მოახერხებს, რომ ირთოლა არ მოუვიდეს, როდესაც რომელიმე დღე, ქრისტეს მეცადინეობისა და ტანჯვის სახსოვარი, მოდგება ჯერზე და აგონებს ბოროტს და ანგაარების ხალხს, თუ რა უნდა იყოს კაცის დანიშნულება ცხოვრებაში.

მართალია, ბევრს ქრისტიანს არ ესმის მაცხოვრის ნამდვილი ღვაწლი და მისგან დადებული ამაგი, მაგრამ მარტო ზეზეურ და სუსტი წარმოდგენა, რომ ქრისტემ მიიღო ტანჯვა სიმართლისა და პატიოსნების დაცვისთვის, მარტო ეს წარმოდგენა აკეთილშობილებს თვით ბარბაროსსაც და ერთ-ნახევრად მაინც ართმევს მას ბოროტების წადილს...

⁂

ძალიან კი ჩამოიძაფა დიდმარხვა. კაცს ეგონებოდა, ბოლო აღარა აქვსო. მაგრამ დაილოცა ღვთის სამართალი— დაუბოლოვებელი და დაუსრულებელი არა არის-რა დედა-მიწაზე, თვით პირფერობაც, ავკაცობაც, მოტყუებაც და უსამართლობაც კი.

არა არის-რა დაფარულ, რომელ არა გამოცხადდეს. რაც გინდ ძალიანა ჰგვანდეს ტყუილი სიმართლეს, მაინც ჩვენი ხალხი არა სცდება, როდესაც ამტკიცებს, რომ «ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო». დალოცვილი ჟამთა-ვითარება და ისტორია თავისას მიუწყავს ხოლმე—ტყუილს გამოააშკარავებს და დაასვამს მას შუბლზე სამარცხვინო ბეჭედს. ასეთსავე ბოლოს შეესწრობა ხოლმე ბოროტმოქმედებაც და უსამართლობაც. კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა. რაც გინდ ცხარე ცრემლი დაჰღვარო, რაც გინდ უშველებელი ბრძენის თავი მოისყიდო შენი ბინძური საქციელის გასათეთრებლად, რაც გინდ ბასრი იარაღი იხმარო იმისთვის, რომ უსამართლოება სამართლად შეაპარო ხალხსა,—მაინც დალოცვილი, მიუსყიდველი, პირუთვნელი, დაუნდობელი და მიუდგომელი ჟამთა-ვითარება თავისას არ დაიშლის და იმავე სამარცხვინო ბეჭდით მოგირთავს შენს შერცხვენილს არსებას...

მაგრამ რა საჭიროა ამისთანა ანბანზე ლაპარაკი, მეტადრე როდესაც არავითარი სურვილი არ მოიპოვება ჩვენში, რომ მეტი სიტყვისათვის წკეპლების სუსხი ვიგემოთ. სჯობია, ისევ აღდგომას დავუბრუნდეთ...

გაგვითავდა დიდ-მარხვა. უკეთესი ნიშანი ჩვენის სიხარულისა არის წითელი კვერცხი, რომელიც ასეთის მეცადინეობით მზადდება ქრისტიანის სახლში. კაცს რომ არა ჰქონდეს სიმტკიცე და ვაჟკაცობა, არ შეეძლოს უსამართლოებასთან ბრძოლა, რასაკვირველია, ასეთი კაცი არ არის ნამდვილი ქრისტიანი. მაგრამ ამ შემთხვევაში იმას მარტო აღდგომის წითელი კვერცხის პატივში აყვანაც იხსნის და სცხებს რაღაც ღვთიურს მადლსა.

ზევითაცა ვსთქვით, რომ ჭეშმარიტების საბძანებელი თანდისთან ფართოვდებაო, მისი მიჯნები განზე იწევენო. მოვა დრო, ღმერთი გვიშვე-

ლის, ჩოუვარდისა და ჩვენს გუთნებისთვისაც შეუფერებიათ. ღმერთმა ჰქნას, რომ ამ ჩინებული მაგალითისათვის სხვებსაც წაებაძოთ...

## შინაური ქრონიკა

ოთხშაბათს, **11** აპრილს, «კრუჟოკის» დარბაზში «წერა კითხვის საზოგადოების» მმართველობა მართავს ბალს, რომელზედაც მასპინძლად იქმნება კნ. ან. ამილახვრისა. როგორც შევიტყეთ, ამ ბალზედ დაესწრობიან მთავარ-მმართებელი თავისის მეუღლით და აგრეთვე ბევრნი სხვა წარჩინებულნი პირნი.

ბ. დიმ. ბაქრაძის თაოსნობით, როგორც შევიტყეთ, სდგება ქართული ისტორიული-არქეოლოგიური საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება, სხვათა შორის, პერიოდული ჟურნალის გამოცემა. ამ ჟურნალში უნდა მოექცნენ უმთავრესად ჩვენი ისტორიული საბუთები, გუჯრები, სიგელები, ისტორიისათვის შესანიშნავი წერილები და სხვანი. ბ. ბაქრაძე წესდების დაწერას შესდგომია კიდეც.

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული პატარა სომხური ბროშიურა შედგენილი ბ. არმენაკ სიუნისაგან, რომელიც შეეხება «კათალიკოზის ამორჩევას», ე. ი. იმისთანა საგანს, რომელიც სომხობისათვის ეხლა ფრიად საყურადღებოა.

«წერა-კითხვის საზოგადოებისაგან» გახსნილს წინარეხის სკოლაში ამ წელს სწავლობს **34** შეგირდი, **14** მათგან ვაჟი და **20** ქალი. ქალების უმეტესობა ალბად იმით თუ აიხსნება, რომ ამ სასწავლებელში მასწავლებლად ქალია.

ს. მარელისიდამ იწერებიან, რომ იმ სოფლის ახლო ბოგირი შარაგზაზედ წყალს წაუღია და გაკეთებას არავინა ჰფიქრობსო. ამ გარემოებას იმ მხარის მცხოვრებლები ძალიან შეუწუხებია, რადგან სოფლის ნაწარმოების ვაჭრობა ამ გზითა ჰხდებოდაო.

ს. ქარდანახიდამა გვწერენ: «საშინელს ზამთარს ძლივს გადურჩა ხალხი, ცხარედ შეუდგა ვენახების მუშაობას, რომ ეგებ ნაალდგომევს მინდორში გასულიყო სახნავად და მუშაობისაგან თავბრუ დასხმული უეცრად ბეგარაზე გარეკეს: ურმიანები ალაზნის ხიდის გასამაგრებლად გაიყვანეს და უსაქონლო ფოსტის გზის გასასწორებლად. ეს კიდევ არაფერი: ამ ბეგარას ხალხი ერთ კვირაზედ გაათავებს, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ამ ზაფხულს სოფელმა ორი ახალი ეკლესია უნდა აააშენოს და ერთიც სკოლა, რადგან სკოლის შენობა მეტის-მეტად პატარაა და ზამთრობით ცივი. შუა სოფელში ერთი ახალი ეკლესიაა, როცა ორს ზემოხსენებულს ააშენებენ; კარგი იქნება ამ ეკლესიამ ერთ-ერთის მაგივრობა მაინც გასწიოს. ამას გარდა ერთის ეკლესიისათვის ნახევარზედ მეტი მასალა და ფული ათის წლის წინად ყოფილა მოგროვილი, მაგრამ ეხლა არსადა სჩანს. სიები მამასახლისს დაჰკარგვია(!). ამის მიზეზით ხალხი აღარა კისრულობს მის აშენებას, სანამ შეკრებილ ფულს და მასალას არ მოგვცემენო» მამასახლისებიო.

ჩვენ მოგვივიდა შენიშვნა ერთის სოფლის მასწავლებლისა, რომელიც დიდად საჭიროდ ჰხედავს, რომ ჟურნალი «ნობათი» ყოველ სოფლის სასწავლებელში გამოწერილ იქმნას. სოფლის ბიბლიოთეკები უიმისოდაც ღარიბნი არიან რიგიანის ქართულის წიგნებით და «ნობათის» შეძენა კი ამ ბიბლიოთეკებს ბევრს რასმე შეჰმატებსო, მით უფრო რომ მოსწავლე ბავშვები დიდის სიამოვნებით კითხულობენ ამ ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობებს და აღტაცებით სწავლობენ ზეპირად მის ლექსებსაო. ამ ჟურნალის გამოწერა კი სრულებით საძნელო არ იქმნება, რადგან ოთხი მანათი წლიური ფასი არას შეადგენს თვით სოფლის სკოლის ღარიბ ბიუჯეტისათვისაცაო.

ბათუმიდამ გვწერენ: «ამ დღეებში ბათუმის კლუბში წაიკითხა ლექცია «კუმისზე» ბ. ზიგო ზაბაშვილმა. ისე სინიდისიანად იყო ლექტორი მომზადებული და ისე კარგად შეასრულა თავისი მოვალეობა, რომ მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ლექცია რუსულად იყო წაკითხული, წყნარად და გასაგებად. ჯერ ტერაპევტიკური თვისებანი ჩამოთვალა კუმისისა ლექტორმა, მერე ანატომიური და ფიზიოლოგიური, ბევრნი ნატრულობენ, ნეტავი კიდევ გამართოს ბ. ზაბაშვილმა თავისი საუბრები მედიცინურ-ჰიგიენურს საგნებზედაო».

ოზურგეთიდამა გვწერენ: «აქ მოკლეს ამ თვის პირველს ხონელიას სახლში ცხრა საათზედ აქაური ეპარქიალური კანცელიარიის თარჯიმანი სვიმონ იორაშვილი, მკვლელები ჯერ ჯეროვნად ვერ უპოვნიათ.»

ხონიდამა გვწერენ: «ამ თვის ოცდა-ოთხს აქ იყო ორი სოფლის საზოგადოების ყრილობა, კუხისა და ხანისა. უნდა ამოერჩიათ მავნე და შემაწუხებელი კაცები და დაენიშნათ მათთვის ოთხში ერთი: ან სამუდამოდ გადასახლება, ან ვადით, ან პოლიციის მხედველობაში მიცემა და ან ჩაგონება პოლიციის მხრით. ამოარჩიეს კიდეც ბოროტი ხასიათის კაცები, მაგრამ სამუდამოდ არავინ დაუკარგავთ; ზოგს გადუწყვიტეს ორიოდ სამი წლით «დრუჟინაში» განწესება, ზოგს პოლიციის მხედველობაში მიცემა, და იარაღის აყრა კი ბევრს შეხვდა. რასაკვირველია, როგორც ხასიათიც ხელს გვიწყობს, არც უპატიოდ და უკერძოვოდ გათავებულა საქმე, მაგრამ საზოგადოდ საქმემ ურიგოდ არა ჩაიარა.

გაზ. «რუსკი კურიერ»-ში ვკითხულობთ: «ცნობილია, რომ იმიერკავკასიაში, განსაკუთრებით ერევნის, ბაქოს და ყარსის გუბერნიებში ბევრია ქვა-მარილის მადნები და წყალმარილის წყაროები. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, როგორც გვატყობინებენ, ადგენს პროექტს, რომელშიაც უჩვენებს მრავალ გვარს სახსრებს მარილის საქმის წარსამატებლად. რადგანაც უმეტესი ნაწილი ამ მადნებისა და წყაროებისა სახელმწიფონი არიან, ამისათვის ჰფიქრობენ თურმე შესცვალონ ის წესი მათი იჯარით გაცემისა, რომელიც ეხლა არსებობს; ამასთანავე აპირობენ თურმე ცდას სახელმწიფო საშუალებათა შემწეობით ამ მადნების და წყაროების მოხმარებისას. ეხლა ისე ცოტა მარილი გამოდის აქედამ, რომ ერთ მილიონ ფუთს არ აღემატება თურმე.»

ამავე გაზეთის სიტყვით, კახურს ღვინოებს ამ ბოლოს დროს ჯეროვანი სახელი დაუმსახურებია რუსეთში, როგორც თავის კარგი თვისებით,

---

ლის, და ყველა ჩვენგანი, მარტო წითელი კვერცხის მაგიერ, შეიქნება ნამდვილ ქრისტიანედ, ყოველი ადამიანის გული აივსება პატიოსნების და სამართლიანობის ცეცხლით, რომელიც დასწვავს და დაადნობს ამდენი ხნის დახალასებულს ბოროტებას...

***

აბა, ამიტომაც არის, რომ ჩვენ გვინდა მკითხველებთან ერთად მივეგებოთ **აღდგომას** სიხარულისას ნამდვილის სიხარულით. ამ სიხარულსაც ის საფუძველი აქვს, რომ ტანჯვა კაცობრიობისა, განხორციელებული და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი მაცხოვრის ტანჯვაში,—ჰო, ეს ტანჯვა არ არის დაურღვეველი და ბუნებითი ხვედრი ჩვენთვის. რამდენი წელი გადის, იმდენი უფრო და უფრო მკრთალი და მისუსტებული ფერი ეძლევა ამ ტანჯვას, იმდენი უფრო აკლდება მას გაბედულება, უწინდელი ფახი. სამაგიეროდ, ჭეშმარიტება ისხამს ფრთებსა და ღვთით კაცთა ნათესაობა იმ დროსაც შეესწრობა, როდესაც ჭეშმარიტებას დარჩება განუსაზღვრელი მეფობა ჩვენში. მაშინ იგი ერთი წკიპარტის კვრით გაშლის მიწაზე საზიზღარს ბოროტებას, გაჰქელავს მას ისე, როგორც ბიბლეური მოციქულები გვასწავებენ შხამიანი გველის თავის გაჭყლეტას...

***

აბა სწორედ ეს გვაიმედებს ხოლმე ჩვენც, როდესაც დიდმარხვის დღეებში ვეძლევით სინანულს. ჩვენა ვდარდობთ, რომ ჭეშმარიტების მაღიარებელი, თვით ზეციდამ მოვლენილი პატიოსნება, დატანჯულ იქმნა ბოროტებით გატენილს დედა-მიწაზე; ჩვენ ცრემლი მოგვდის თვალში, რომ ასეთი სპეტაკი წარმომადგენელი კაცთა ნათესაობისა გახდა მსხვერპლად ჩვენის რეგვნობისა, ველურობისა და ბოროტებისა, დაედგა მას ეკლის გვირგვინი და ჯვარს ეცვა. მაგრამ ამ სინანულსა და ტანჯვას გვიმსუბუქებს აღდგომა, რომელიც არის საუკეთესო სიმბოლო იმ ბედნიერი წარმოდგენისა, რომ კაცის გულში არ გასწყდება ლტოლვა იმ იდეალისკენ, რომელიც დაგვიხატა ჩვენ მაცხოვარმა. ქრისტე დატანჯა და მოჰკლა უსამართლობამ. მაგრამ მისგან დატოვებული ანდერძი უმეტესი ძლიერებით განცხოველდა ჩვენს გულში და დარჩა საუკუნოდ, რაიცა მოასწავებს ქრისტეს აღდგენას. მაშ, ჩემო მკითხველებო, ქრისტე აღდგა!.. ქრისტე ჭეშმარიტად აღდგა!..

დავივიწყოთ ყოველივე პირადი ანგარიშები, კერძო უბედურება და შევერთდეთ ამ სიმბოლიურ მიგებებაში, რომელიც გვაძლევს იმედს, რომ მომავალი ისე ბნელი არ არის, როგორც ხანდისხან სასო-წარკვეთილებაში გვგონია ხოლმე. პირადი ტანჯვა ძნელია. იგი ბევრს ჩვენგანს ამოჭამს სამუდამოდ, ბევრს გაჰქელავს თავისი სუსხითა და ძლიერებით; მაგრამ პირველი ესა, რომ

«ჭირსა შიგან გამაგრება
ისრე უნდა, ვით ქვითკირსაო»,

იტყვიან ხოლმე სულ-მაგარნი, და მერეც კიდევ ისა, რომ საზოგადო სიამე და ბედნიერება, უმრავლესობის სიხარული აყუჩებს და ასუსტებს პირადს ტანჯვას. ამიტომ, კიდევაც მოგილოცავთ ყველას აღდგომას სიხარულისას და კიდევ ვიტყვი—ქრისტე აღდგა!..

***

მაგრამ, თუ ვსარგებლობთ შემთხვევითა და ვურჩევთ მკითხველებს პირადი ანგარიშების დატოვებას, ამით კიდევ ჩვენ იმისი თქმა არა გვწადიან, ვითომც სრულებით დავხუჭოთ თვალები და საქვეყნო ანგარიშებზედაც სული შევიკმინდოთ, გავჩუმდეთ. არა, რამდენადაც პირველ შემთხვევაში ჩვენა გვმართებს თავის შეკავება, იმდენად მეორეში უნდა ვიყვნეთ ფხიზელნი და დაუდგრომელნი, და რაც უფრო ხმა მაღლა მოვახერხებთ ასეთი ანგარიშების დაჭერას, მით უფრო უკეთ დავეხმარებით სიმართლის საქმეს.

ამიტომ, მართალია, დღეს ბედნიერი დღეა, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავიშლით, რომ მივაქციოთ მკითხველების ყურადღება იმ შავს ლაქებზე, რომელნიც ვერ მოუხერხებიათ დამალონ დღევანდელს სიხარულის თეთრს მოედანზედ.

***

ნებას ვაძლევ ჩემს თავს, გიამბოთ ერთი შესანიშნავი ზღაპარი, რომელიც მოუგონია ჩვენი შორის ხალხის გენიას. იყო, და არა იყო რა ღვთისაგან უკეთესი, იყო ერთი აზნაური, სახელად პაპულა, რომელსაცა ჰყვანდა ერთი გლეხი, სახელად ტანჯულა. პაპულა ისეთი საწყალი აზნაური იყო, რომ ქვეყნიერობაზე სამი პატარა უჯინშო ლორის მეტი

აგრეთვე იმით, რომ მათში სხვა არაფერი ურევია როგორც სამზღვარ გარეთიდამ რუსეთში მოტანილ ღვინოებში. უკანასკნელს დროს, როგორც ისმის, სამზღვარ-გარედაც გავარდნია სახელი კახურს ღვინოებს და ზოგიერთა იქაურს ფირმებს უკვე შეუკვეთიათ ეს ღვინო. ამასთანავე სამზღვარ-გარედ ზოგიერთა მოვაჭრენი აპირობენ თურმე შეადგინონ კომპანია და ევროპიულს ბაზრებში ჰყიდონ იგი.

≈≈ ივერიის მარტის წიგნი შეიცავს შემდეგს შინაარს: I. «განკიცხული» (დასასრული) ა. მოჩხუბარიძისა, II «მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში» (დასასრული) თ. ჟორდანიასი, III «სნეული ოჯახი» (ლექსი) თ. რ. ერისთვისა, IV «ღამით მზიანი ქვეყანა ანუ შვეცია და ნორვეგია» (დასასრული) რ. ჯაჯანაშვილისა, V «თვით-მმართველობა საზოგადოთ და ქალაქისა კერძოდ» (წერილი ქუთაისიდგან) მანელისა, VI «შინაური მიმოხილვის მაგიერი» VII «განცხადება», VIII «ივერიის ფოსტა» (ყდაზედ).

## «დროების» კორესპონდენცია.

**ბათუმი, 3 აპრილს.** ამას წინად ერთი დედა-კაცი მიდიოდა ბათუმიდგან ქუთაისს. ეს მანდილოსანი საკმაოდ სქელი, რომ იტყვიან, ფაშფაშა დედა-კაცი იყო. როცა მივიდა დამოჟნის მოხელეებთან, ამ უკანასკნელთ იფიქრეს, ეს დედა-კაცი ბუნებით სქელი არ იქნებაო, ხელოვნურად გასქელებულა, უთუოდ ტანისამოსის ქვეშ «კონტრაბანდა» ექნებაო. წაიყვანეს გასასინჯად და რომ ვერც ჯიბეებში, ვერც ტანზედ ვერა უპოვნეს-რა, დარჩნენ სახტად ზომაზედ მეტად ერთგული მოსამსახურეები.

ერთი ამ ერთგულ მოსამსახურეთაგანი ამ დღეებში დაითხოვეს სამსახურიდგან «მესამე პუნქტის» ძალით, რადგანაც «კონტრაბანდა» გაეშვა და ბლომა ფული აეღო.

ბათუმელ ქართველმა მაჰმადიანებმა გაგზავნეს ტელეგრამით საჩივარი ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე, რომელშიაც უჩივიან ბათუმის საადგილ-მამულო კომისიას. არ ვიცით, რა პასუხი მოუვათ, კომისიის მოქმედებაზე. ასახელებენ ერთს საყურადღებო ფაქტს, რომელზედაც გუბერნატორსაც კი მიუქცევია ყურადღება. აი მოკლედ ეს ფაქტი: ერთი მუფტი (სასულიერო პირია) ერთს კაცს მამულის ვექილად დაუდგა. რაღაც მანქანებით მუფტი ჰხდება თვისის მრწმუნებელის მამულის პატრონად და ჰყიდის ამ მამულს. ეს მამული ხარისუში სძევს და ეხლა მირზოევმა იყიდა. სეირი თუ გინდათ, ეს არის.

ერთს ამ კომისიის მოხელეს ერთი მაჰმადიან ქართველისთვის გამოურთმევია «ლირები», რომ კომისიაში დაეხმაროს. ამ ვაჟბატონს საქმე ვერ გაურიგებია და დღეს ბათუმის სამჯავროში შეტანილია საჩივარი, რომლითაც მიცემულს ქრთამს უკანვე თხოულობენ.

## ამირანი

(ლეგენდა კახეთში გაგონილი)

«დროების» № 60-ში იყო დაბეჭდილი ბ. ზ. ლიახველისაგან შეკრებილი და გაგონილი სხვა-და-სხვა კავკასიელთ ხალხთა თქმულებანი ამირანზე. რადგან ბ. ლიახველს კახეთში გავრცელებული ლეგენდა ამირანზე ისე დაწვრილებით არა აქვს მოყვანილი თავის წერილში, ამიტომ უალაგოდ არ მიმაჩნია «დროების» მკითხველებს გავაცნო ეს ლეგენდა, რომელიც ბევრის მოხუცისაგან გამიგონია.

კახეთში ერთს მცირედ შეძლებულ გლეხს თურმე შვილი არა რჩებოდა. სიბერის დროს ეყოლა ერთი ვაჟი. როცა ორი თვისა შესრულდა, დედმამამ გადასწყვიტა მისი მონათვლა, მხოლოდ ნათლიად იმის მოწვევა მოინდომეს, ვინც მომავალ პირველ შაბათს პირველად მოვიდოდა მათთან. ძველად ქართველებში გავრცელებული იყო თქმულობა, ვითომ ყოველ შაბათობით იესო ქრისტე მთხოვრის მგზავსად ჩამოივლიდა ხოლმე. სწორედ ნათლობისთვის დანიშნულ დღეს ამათთან პირველად მოვიდა იესო ქრისტე. მამამ სთხოვა შვილის მონათლვა. თუმცა იგი უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა. ნათლობის დროს ბავშვს სახელი ამოუვიდა ამირანდო, რომელიც მასუკან ამირანად გადააკეთეს. ამირანდო პატარობითვე საშინელ ღონეს იჩენდა და ბოლოს ისეთი სახელი მოიხვეჭა, რომ ყველამ შიშით დაუწყო ყურება; ნათლიამაც ყურადღება მიაქცია და რადგან მისი მომავალიც არა საიმედო იყო, მოინდომა ხალხისათვის მოეშორებინა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ამირანი სანადიროდ იყო თავის ერთგულ ფინიათი ტყეში, ნათლია გამოეცხადა. ნათლია ჯერ მიესალმა და შემდეგ უთხრა:

— ამირან, შენ ღონით გაქებენ განა?

— დიაღ, მაქებენ კიდეც და ნამდვილიც არისო.

— მაშ აბა მე და შენ გავიჯიბრნეთ:

ამირანი დათანხმდა. ორნივ წავიდნენ იალბუზის მთაზედ. იქ დახვდათ დიდი რკინის ჯაჭვი და რკინისავე ბოძი. ამირანის ნათლიამ მოაბა ბოძს ჯაჭვი, მეორე წვერი მოიბა წელზე და ბოძი ამოგლიჯა. მერე ისევ დაურჭო და უთხრა ამირანს:—აბა შენცა სცადეო. ამირანმა ბევრი იწვა, მაგრამ ვერ მოგლიჯა და მთა მაშინვე საჩეხივით თავს გადმოეფარა. ამირანმა მიიხედ-მოიხედა და მარტო თავის ფინიას მეტი ველარავინ დაინახა. ამირანი დარჩა ჯაჭვზედ დაბმული და საზდოს ყოველ დღე ფრინველები უზიდავენ. მისი ფინია კი მთელი დღეობით ლექავს მის ჯაჭვს და დიდ-ხუთშაბათს საღამოს იგი გაწყვეტამდის მიიყვანს ხოლმე, მაგრამ მჭედლები უმძრახად მოდიან, სამჭედლურს დაუწყებენ კეთებას და ჯაჭვი ისევ სქელდება. ესრედ ამირანი დღესაც დაბმულია იალბუზის მთაზედ. მეორე მოსვლამდის არა ეშველება-რა;მაშინ კი ვაი მჭედლების ბრალი,—მათს სახსენებელს მუსრს გაავლებს იგი.

ი. კახელი.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

5 აპრილს.

**კონსტანტინოპოლე.** იუსტიციის მინისტრი ასიმ-ფაშა დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრად არიფი-ფაშის მაგივრად. გორდონზე კარგი ამბებია. კორდოფანში, თითქო, უთანხმობა ჩამოვარდნილა მახდისა და ზოგიერთა იმის მომხრეთა შორის, რისგამოც მახდიმ თავი

---

არა გაიჩნდარა, მაგრამ გულით კი ნამდვილი, დარბაისელი აზნაური იყო, და როგორც ასეთი გულის პატრონი კაცი, ყოველს ღონის-ძიებასა ხმარობდა, რომ არც თავისი აზნაურობა დაემცირებინა რომელიმე შრომით ან მუშაობით, არც ულუკმა-პუროდ ყოფილიყო, ამიტომ რომ ყველანი მასზე თითით აჩვენებდენ—აგერ აზნაურია და კეთილშობილი კუჭი კი შიმშილით უხმებაო. დაღონებული დაიარებოდა ჩვენი პამპულა, სულ ჩაფიქრებული იყო. მეზობლებს ეშინოდათ, ჭკვაზე კი არ შესცდეს კაციო. მაგრამ პამპულა კი იქნებოდა, რომ ჭკვაზე შეშლილიყო! ერთს დღეს ჩვენი პამპულა მეტად მხიარული რამ გამოვიდა სახლიდგან. ყველამ მას მიაქცია ყურადღება, ხოლო ის კი ზედაც არავის უყურებდა, ისე იყო გართული თავისი აზრით და ისეთს სიამეს აძლევდა მას ეს აზრი. წავიდა პამპულა იქვე ახლო, თავის ღორების ქუზუნისაკენ. საცოდავი ღორები, პატრონივით, სიმშილისაგან მიხრწნეულები იყვნენ. მაგრამ პამპულას თითქო არც კი შეეცოდენ ისინიო, მხიარულად მოუარა და გარეკა შორს მინდვრისაკენ, სადაც ღელავდენ მეზობელი აზნაურის ჯეჯილები. მშიერი ღორები დაერივნენ ყანებს და, ერთი კაი დღე ვნახოთო, სულ გაანადგურეს. მეზობელმა მაშინათვე სტაცა ღორებს ხელი და დაამწყვდია. პამპულა ალტაცებით უყურებდა შორიდამ სეირს.

დაამწყვდიეს თუ არა ღორები, პამპულამ მიარტყა სასამართლოს საჩივარი საჩივარზე, სადაც თხოულობდა სამართალს—ჩემმა მეზობელმა დიდი ზარალი მომცა ღორების დაჭერით, იმას ზარალი უნდა ეთხოვა ჩემთვის, ღორებთან ხელი არა ჰქონდაო. სამართალმაც ხელი მისცა პამპულას, და, «სუდებნი იზდერჟკების» მიტკუცვით, სამასი მანათი გადუწყვიტა მას მეზობლისაგან. პამპულა კეთილი კაცი იყო და, სამასი მანეთის მაგიერ, დაჰყაბულდა სამს იაფს ხარზე. ამ სახით, პამპულას სამ ღორს მიემატა სამი ხარი. პამპულამ აიწია წელში. თითონაც გაიჩინა ნახნავები. მაგრამ ეჩოთირებოდა, რომ ერთი ხარი ცალადა ჰყავნდა. კიდევ იმავე სამი ღორის თილისმური დახმარებით, მეორე წელს სამ-ულელა ხარი გაიჩინა. პამპულამ უფრო წამოიწია. ახლა ის აღონებდა ჩვენს გმირს, რომ ხარებთან კარგს აზნაურს უეჭველად რამდენიმე ფურიც უნდა ჰყვანდეს. აქაც ღორებმა ფრთა შეასხეს, და მესამე წელს პამპულას ეზოში სამი ახლად მოგებული ხბო ბღაოდა და ელოდებოდა სამი ფურის საძოვრიდამ დაბრუნებას. პამპულამ ლურჯი კალმუხის ჩატეხილი ქუდი დაიხურა თავზე და ყეენსაც აღარ აძლევდა სალამს. ერთი დარდიღა ულრღნიდა მას გულსა—კამბეჩები არა ჰყვანდა. ფული ჩკა, მონაგრება იოხთურ.

მაგრამ პამპულა აქაც არ დარჩა უკან. მისი ნაყმევი, ტანჯულა, გამართული გლეხი იყო და თავისი სამი კამბეჩით ქვეყნის ტივები გამოჰქონდა ტყიდამ, მაშინ როდესაც ყმობაში პამპულასაგან ისე იყო გამოსუტული, რომ ფეხებს ძლივლა აღგამდა. რად უნდა განებივრებულიყო ვილაც ტანჯულა ცხოვრებაში ისე, რომ სამი კამბეჩით თითქმის უზრუნველად ეტარებინა თავისი განთავისუფლების დღენი. პამპულამ მიუსია თავისი მანქანებიანი ღორები და ზედაც გათქმული «ცუკეზგეია». ტანჯულას ფიცხლავ გამოეცალა ხელიდამ თავისი კამბეჩობა და მოგვმართა ჩვენა. მაგრამ ჩვენ თითონ რა ცვაბადია, იმისთვის რა მიგვეცა! მივეცით მხოლოდ ადგილი ჩვენს გაზეთში...

* * *

მაგრამ ეხლა ამისთანა უბრალო დახმარებისთვისაც კი ვჩივით, იმიტომ რომ ჩვენი ნათქვამი ყველას ეკალივით ესმებათ გულზე და ამ დაეკლილს გმირებს იმოტელა ფარხმალი უჩნდებათ აქეთ-იქიდამ, რომ აღარა გვაქვს მოსვენება და ველარც გაგვიგია, სადამდის გასტანს წასარჩლება ყოველგვარი ბოროტ-მოქმედებისა, ავაზაკობისა და ნამუს-გაწყვეტილობისა. წარმოიდგინეთ, რომ თვით ნასწავლი ექიმებიც კი შეიარაღდენ დაბეჭდილი სიტყვის წინაალმდეგ და ნაცვლად იმისა, რომ მადრიელნი იყვნენ, როდესაც ჩვენ ვააშკარავებთ მოვალეობის აღუსრულებრობას, ჩვენვე გვემდურებიან. ღმერთმა კი მშვიდობა მისცეთ, და ჩვენ სწორედ აღარ ვიცით, რომელი საშუალება ავირჩიოთ ბოროტებასთან საბრძოლველად...

ეჰ, მაინც ქრისტე აღდგა და იქნება საშუალებაც რამ თან მოგვიტანოს...

დაანება ხართუმზე მოსვლის განძრახვას. გასალაში და სენაარში ეგვიპტის გარნიზონების მდგომარეობა გარგად არის.

პეტერბურგი. ვოლჟსკო-კამის ბანკის 1883 წ. დევიდენდი 16%-მდეა.

ხარკოვი, სამსჯავრომ, სამი საათის თათბირის შემდეგ, გამოიტანა რეზოლიუცია ბუშენის საქმის შესახებ; ამ რეზოლიუციის ძალით ბუშენი უნდა სამსახურიდგან გადაყენებულ იქმნას, მაგრამ სამსჯავროს აგრეთვე დაუდგენია იშუამდგომლოს მისი იმპერატორებითი დიდებულების წინაშე, რათა ბუშენს ამ სასჯელის მაგივრად საყვედური მიეცეს.

ლონდონი. შინაურ საქმეთა მინისტრმა წარმოსთქვა დერბში სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ეგვიპტიდგან ინგლისის ჯარების გამოყვანა დაგვიანდა მოულოდნელ გარემოებათა გამო; ინგლისს უფლება არა აქვს, რომ ეგვიპტე შეიერთოს; თუ კიდევ დიდ-ხანს განაგრძობს ინგლისი ეგვიპტის მართვას, ეს გარემოება გამოიწვევს სხვა სახელმწიფოთა შორის განხეთქილებას და ინგლისს ძვირად დაუჯდება, რადგანაც ეგვიპტეს არ შეუძლიან დაჰფაროს ის ხარჯი, რაც იქ დროებით დაყენებულს ჯარს მოუნდება.

გაზეთი «ტან» თანაგრძნობით ლაპარაკობს რუსეთის ფინანსურს პოლიტიკაზე და გონივრულადაც მიაჩნია მას ეს პოლიტიკა;—გაზეთი ამბობს, რომ ამ გვარი პოლიტიკა სძინებს რუსეთს ევროპიელთა სახელმწიფოთა ნდობას და ინგლისელთა თანხის პატრონები ეხლა რუსეთის ფონდებს ამჯობინებენ.

კონსტანტინოპოლე. აქ მოვიდა ავსტრიის მემკვიდრე პრინცი პრინცესითურთ.

პეტერბურგი. რადგან სახელმწიფო რჩევაში ბევრი კანონის პროექტები იქმნა, შეტანილი ამის გამო ეხლანდელი სესია ამ რჩევისა ივნისამდე გასტანს.

ვაჭრობის წასაქეზებლად განზრახვა აქვთ სრულიად შეაკეთონ პორტები ოდესისა, ბათუმისა და სებასტოპოლისა, გადასდონ ამ საქმისათვის 22 მილიონი მანათი და მუშაობა ოთხს წელიწადში დაასრულონ.

ამ დღეებში უმაღლესად დამტკიცდა განსაკუთრებული კომისიისაგან ახლად შემუშავებული წესდება სამხედრო სამართლის წარმოებისა მშვიდობიანობის დროს.

კონსტანტინოპოლე. სულთანმა ძალიან ტკბილად მიიღო ავსტრიის მემკვიდრე პრინცი და პრინცესა და მაშინვე ვიზიტი გადაუხადა.

პორტამ შეიწყნარა დათხოვნის ქაღალდი პატრიარქის იოაკიმესი და დაამტკიცა დადგენილება შესახებ მიტროპოლიტის აგაფანელის დროებით მის მოადგილედ დანიშვნისა, ამასთანავე პორტამ მოიწვია ბერძენთა საზოგადოება, რათა ახალი პატრიარქის ამორჩევას შეუდგნენ.

პარიჟი. გონგკოაში ფრანცუზებმა ტყვედ აიყვანეს ჩინელები, რომელთაც სიფთხილით ინახვენ, როგორც საბუთს ჩინეთის ამ ომში მონაწილეობის მიღებისას.

6 აპრილს.

კაირი. როგორც ისმის, მახდისაც ისე ხვევია გარს აჯანყებულები, როგორც გენერალს გორდონსაო. მახდი თურმე ორჯერ დაამარცხეს ტევეკებმა.

ბევრი მახდის სახელობით გამოცემული პროკლამაციები დაუჭერიათ.

ხანოი. «შავი დროშები» ტონკინის ჩრდილოეთისკენ წასულან, ჩინელები, ანამელი აჯანყებულები და ბაკნინგისა და გონ-ხოას გარნიზონების ნაშთები აღმოსავლეთის ტონკინში გასულან. მაგრამ გენერალი ბრიერი მათ შესაფერხებლად მალე რამდენიმე ბათალიონით ნიკ-ვინგში წავა.

## განცხადებანი

ზედამხედველი კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა აცნობებს ბბ. წევრთ-დამფუძნებელთ და მსესხებელთა, რომ 1884 წლის 6 მაისისათვის არწრუნის შენობაში დანიშნულია საზოგადო ყრილობა, რომელზედაც ბ.ბ. წევრთ მოხსენდებათ გასასინჯად და დასამტკიცებლად დადგენილობანი შესახებ შემდეგი საგნებისა.

1) მოხსენდებათ ანგარიში შესახებ ბანკის მოქმედებისა საანგარიშო 1883 წელს.

2) ყრილობამ უნდა უჩვენოს ის საზოგადოდ სასარგებლო საჭიროებნი, რომელთაც უნდა მოხმარდეს საანგარიშო 1883 წლის შემოსავლიდან გადადებული 22,426 მანათი და 19 კოპ.

3) მოხსენდებათ სმეტა ბანკის მართველობისათვის 1884 წლისთვის საჭირო გასავლისა.

4) უნდა გაისინჯოს მოხსენება სარევიზიო კომისიისა. ეს კომისია ამორჩეულია დადგენილობისამებრ თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა ჩვეულებრივი ყრილობისა, რომელიც მოხდა 1883 წლის 1 და 3 მაისს. ამ კომისიას უნდა განეხილა მთელი საქმის წარმოება, ყველა ანგარიშები და ოპერაციის მსვლელობა ბანკისა მისი რვა წლის არსებობის დროს, და კიდევ სხვა საგნები, ჩამოთვლილნი ხსენებული საზოგადო ყრილობის დადგენილობებში.

5) უნდა ამოირჩიონ შვიდი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა ნაცვლად: თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, თ. გ. ი. თარხანოვისა, თ. გ. მ. თუმანოვისა, ლ. ა. მაღალოვისა, თ. დ. ზ. ბარათოვისა, თ. რ. შ. ერისთავისა და დ. ზ. ყიფიანისა, რომლებიც გადიან თავიანთ თხოვნისამებრ.

6) უნდა ამოირჩიონ გამგეობის ერთი წევრი ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილისა, რომელიც გადის რიგისამებრ, და კიდევ ორი წევრი დამფასებელი კომისიისა ნაცვლად: თ. ბ. ი. რატიშვილისა და თ. რ. ა. ჩოლაყაშვილისა, რომელნიც გადიან; უნდა ამოირჩიონ ეგრეთვე მათი კანდიდატებიც.

თავმჯდომარე ზედამხედველი კომიტეტისა თ. ი. ანდრონიკოვი.

(6—2)

### თბილისის თეატრი

ხუთშაბათს, 12 აპრილს 1884 წ.

საღამოს 8 საათზედ.

აქ მოსული მთელის ევროპისაგან ცნობილი გამოჩენილი პრესტიდი გიტატორი და სპირტი. წევრი ხელოვნების აკადემიისა ვენაში პროფესორი

ლეონ პევზენერი

გამართავს დიდს საგანგებო სპირიტიულ წარმოდგენას და

### სამედიუმო საღამოს.

პროგრამა სამს განყოფილებაშია, რომელშიაც იქნება ჯერ აქ უნახავი მაგიკო ფიზიკური გამოცდილებანი და სეანსები სპირიტიზმებისა და სამედიუმო გამოცხადებათა.

ფასი ისეთივე, როგორც დრამატიულ წარმოდგენებში. დაწვრილებით აფიშებშია. (2—1)

### „ამერიკანკა“

საცვლების გასარეცხი იარაღი. ამ იარაღის საშუალებით გარეცხილი საცვლები ზურხანს ინახება, რადგანაც ტილო ტილოზე არ ესახუნება, რისგანაც ჩვეულებრივი რეცხით გამზადებული საცვლები წყალდება და იგლიჯება ხოლმე. ერთი ამორეცხით საცვლები სუფთავდება და ამისთვისაც ცოტა საპონი და შეშა უნდება. მუშაობა მეტად საადვილო და საჩქაროა, ისე რომ სამჯერ ნაკლები მრეცხველები უნდება. იარაღი არ არის რთული და ძალიან მკვიდრია. ერთნაირად სასარგებლოა როგორც პატარა და დიდ ოჯახობაში, ისე სარეცხის ქარხნებში. დარიგება დაწვრილებითი. იწვევენ აგენტებს. იარაღის გაგზავნით ფასი 5 მან. ადრესი: რუსულ დამზღვეველ საზოგადოების აგენტს, გ. შლემენზონს, სამფეროპოლში.

თბილისში ამ იარაღის შეკვეთა შეიძლება შავერდოვის სააგენტოში. (3—1)

### დაიკარგა პატარა ძაღლი,

წაბლის ფერი, გული ჰქონდა თეთრი, შუბლზედ თეთრი ფრჩხილის ოდენა ნიშანი, ქვემო კბილები უჩნდა.

ვინც იპოვნის, სთხოვენ, რომ მოიყვანოს ეს ძაღლი მე 9 უჩასტკაში, მიხაილოვის ქუჩაზე, სახლი თავ. არღუთინსკისა, ალექსანდრე აიდინოვის ტრაქტირში, რაისათვისაც მიიღებს ჯეროვანს საჩუქარს. (2—)2

### ახლად გაღებული კახური ღვინის სკლადში

მომავალი დღესასწაულებისათვის მივიღე კახეთიდგან კარგი საუკეთესო ღვინოები და ვყიდი, როგორც პარტიით, აგრეთვე წვრილად ბოთლი ღვინო უბოთლოდ 20 კ.-დან 1 მანეთამდინ ვედრა 2 მან. 40 კაპ.-დან 15 მანეთამდინა.

სკლადი იმყოფება ალექსანდროვის ბაღის ბოლოში მადათოვის ქუჩაზე ძმათა აბოვანცის სახლებში.

ზაქარ იოსების-ძე სიმონოვი.

(2—2)

ნერსესიანთა სომხის სასულიერო სემინარიის მზრუნველობის რჩევაში 18 აპრილს, საღამოს 8 საათზე ხელ-მეორედ იქნება ვაჭრობა (განუმეორებლად) სემინარიის კუთვნილთა მამულთა იჯარით გაცემაზედ: ა) სახლისა და დუქნისა, შეწირულთა განსვენებული აჲეტიქა პირალოვის მიერ და მდებარეთა რუსების ბაზარში №№ 6 და 11, და ბ) 21 დუქნისა, რომელნიც არიან აშენებულნი სასწავლებლის მოედანზე, ვანქის სომხის სობოროსთან. კონდიციების ნახვა შეიძლება მზრუნველობის კანცელარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირისა და სატაბელო დღეებისა, 10-დამ 12 საათამდინ.

(3—3)

### ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—8[illegible] |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 7 Апрѣля 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ვ. ძერეთელი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.